

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N013/18<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ანა ქურდაძე

### შეკითხვა:

წარმოადგენს თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევას ადვოკატის ან იურიდიული ფირმის/ბიუროს მიერ უფასო კონსულტაციის გაწევა პირისთვის სარჩელის აღძვრის თაობაზე და ამის შემდეგ უკვე (სხვა წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც კავშირი არ აქვს აღნიშნულ საადვოკატო ფირმასთან/ბიუროსთან) პირის მიერ აღძრულ საქმეში მონაწილეობა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლად? როგორია ვითარება, თუ კონსულტაციის გაწევიდან სარჩელის შეტანამდე გასულია 3 ან 5 წელი? უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევისას ხდება თუ არა კონსულტაციის მიმღები პირი „კლიენტი“ ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მიხედვით?

### ანალიზი:

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა წარმოეშობა იმ ეტაპიდან, როდესაც მას შესაძლოა, მხოლოდ კონსულტაციის მიღებისათვის მიმართონ ან შესაძლებელია, მას გაანდოს პირმა მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია. პირი, როდესაც მიმართავს ადვოკატს და გაანდობს საქმის შესახებ ინფორმაციას და ადვოკატი მისცემს იურიდიულ რჩევას, იმ მომენტიდან იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ნორმების დაცვის ვალდებულება. ადვოკატი ვლდებულება არ გახადოს კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის, რაც არ არის შეზღუდული დროში. ადვოკატსა და პირს შორის კონსულტაციის გაცნობის შემდეგ შესაძლებელია არ მოხდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადება, მაგრამ ადვოკატმა კონსულტირების მომენტში მიიღოს პირისაგან კონფიდენციალური ინფორმაცია. შესაბამისად, მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ჩამოყალიბდება და ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ნორმები.

ადვოკატი გასამრჯელოს მიღების გარეშე ან ჰონორარის მიღების დროს, ორივე შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების გაწევისას (იურიდიული რჩევის მიცემისას) ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ღირებულებების შესაბამისად. კლიენტის წინაშე ეთიკური ვალდებულებების დაცვა არ არის დამოკიდებული იმაზე, ადვოკატის მიერ გაწეული კონსულტაცია ფასიანი იქნება თუ არა.

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნია, არა მხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტების მიმართაც. ადვოკატის მიერ პოტენციურ კლიენტთან უფასო კონსულტირების გაწევისას მიღებული ინფორმაცია გამოყენებული შეიძლება იქნეს ადვოკატის მხრიდან ამჟამინდელი კლიენტის დასაცავად, ერთი და იგივე საქმეზე, სადაც თავს იჩენს ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც გამოვლინებადია, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელების ან დასრულების შემდეგ. შესაბამისად, ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ იმ საქმის წარმოება, რომელზეც უკვე ყოფილმა კლიენტმა

1

<https://gba.ge/pdf/5c74019c3f8bd.pdf/013.18opinion%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%98%2003.12.18.pdf>



ადვოკატისგან მიიღო იურიდიული რჩევა წარმოადგენს ყოფილ და არსებულ კლიენტების ინტერესების დაპირისპირებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პროფესიული ვალდებულებების დარღვევა, საფრთხე შეექმნას ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, რა გარემოებაშიც შეუძლებელია ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის ინტერესების სრულყოფილად და დამოუკიდებლად წარმოდგენა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვისთვის ვადა არ არის განსაზღვრული.

**დასკვნა:**

ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ იმ საქმის წარმოება, რომელზეც უკვე ყოფილ კლიენტმა ადვოკატისგან მიიღო იურიდიული რჩევა წარმოადგენს ყოფილ და არსებულ კლიენტების ინტერესების დაპირისპირებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პროფესიული ვალდებულებების დარღვევა, მათ შორის საფრთხე ექმნება ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, რა გარემოებაშიც შეუძლებელია ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის ინტერესების სრულყოფილად და დამოუკიდებლად წარმოდგენა.